



პროფესიული განათლება
ეკონომიკის განვითარებისთვის
INDUSTRY-LED SKILLS AND
WORKFORCE DEVELOPMENT



არაფორმალური განათლების (VNFIL) აღიარების გზამკვლევი მოდულისათვის “მეწარმეობა”

“ამ პუბლიკაციის გამოცემა შესაძლებელი გახდა ამერიკის შეერთებული შტატების მიერ საქართველოსთვის გაცემული გრანტის მეშვეობით, ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის (www.mcc.gov) დაფინანსებით, ორ ქვეყანას შორის ხელმოწერილი კომპაქტის ფარგლებში. ინფორმაცია, რომელიც მოცემულია აღნიშნულ გამოცემაში არ წარმოადგენს აშშ-ის მთავრობის, ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციისა და ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს პოზიციას“.

2017 წელი

შინაარსი

1. შესავალი.....	2
2. არაფორმალურიგანათლებისადიარებისპროცესი.....	5
1. იდენტიფიცირება.....	5
2. დოკუმენტირება- დოკუმენტებისშეგროვება.....	8
3. შეფასებაარაფორმალურიგანათლებისადიარებისმესამეეტაპიარისშეფასება.	12
4. სერტიფიცირება	17
3. არაფორმალურიგანათლებისადიარებისხარისხისსუზრუნველყოფა	18
წყაროები.....	20
დანართი	21
არაფორმალურიგანათლებისადიარებისათვისსაჭიროფორმები	21
მოდული “მეწარმეობა” III დონე	14

1. შესავალი

გზამკვლევი მომზადებულია პროექტის „სამეწარმეო განათლების გაძლიერება არაფორმალურ განათლებაში“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს ზრდასრულთა განათლების ქსელის მიერ და დაფინანსებულია ათასწლეულის გამოწვევის ფონდის „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“ (ISWD) პროექტის, პროფესიული განათლების სექტორში ინდუსტრიის მონაწილეობის ხელშეწყობის საგრანტო პროგრამის ფარგლებში, 2017 წლის აგვისტო-სექტემბრის პერიოდში. გზამკვლევი მომზადებულია არსებული დოკუმენტების საკაბინეტო კვლევისა და დაინტერესებულ მხარეებთან შეხვედრების საფუძველზე, რომელთაც არაფორმალური განათლების აღიარების გამოცდილება ჰქონდათ. გზამკვლევაში გათვალისწინებულია MCA-G პროექტის „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“ კონცეფციის დოკუმენტი „არაფორმალური განათლების აღიარების დანერგვა საქართველოში“ (2016) და მეთოდოლოგიური მასალები (2016-2017), ასევე ETF-ის დოკუმენტი „არაფორმალური განათლების აღიარების (VNFIL) პოლიტიკისა და მეთოდოლოგიური პაკეტის მომზადებაში მხარდაჭერა საქართველოში (2014)“.

გზამკვლევაში მოცემულია ინფორმაცია არაფორმალური განათლების აღიარების პროცესის და ეტაპების შესახებ, აგრეთვე საჭირო მტკიცებულებების შეგროვებისა და შეფასების სხვადასხვა მიდგომების შესახებ, რაც მნიშვნელოვანია როგორც არაფორმალური განათლების აღიარებით დაინტერესებული პირებისთვის (მამიებელი), ასევე აღიარებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციისათვის. გზამკვლევი მორგებულია პროფესიულმოდულზე “მეწარმეობა” (III საფეხური).

არაფორმალური განათლება¹ ნიშნავს განათლებას, რომელიც მიღებულია საქართველოს კანონმდებლობით პირდაპირ გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამებისგან დამოუკიდებლად; ევროპული სახელმძღვანელოს მიხედვით კი

¹ძირითადი ტერმინები:

ფორმალური განათლება - განათლებისა და კვალიფიკაციების მიღება სკოლებში, კოლეჯებსა და უნივერსიტეტებში დაწყებით, საშუალო თუ უმაღლესი განათლების საფეხურებზე; ის მოიცავს ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს განათლებას.

არაფორმალური განათლება - გარკვეულად დაგეგმილი, ორგანიზებული საგანმანათლებლო აქტივობა, რომელიც ხორციელდება ფორმალური საგანმანათლებლო სისტემის გარეთ; ის მოიცავს ზრდასრულთა განათლებას, სამუშაო ადგილზე მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამებს, ონლაინ და დისტანციურ სწავლებას ან სათემო დონეზე ორგანიზებულ კურსებს, რომელსაც სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები ახორციელებენ, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებიც.

არაფორმალური განათლების აღარება ნიშნავს „კომპეტენტური ორგანოს მიერ იმის დადასტურება, რომ პირის მიერ ფორმალურ, არაფორმალურ თუ ინფორმალურ გარემოში შეძენილი სწავლის შედეგები (ცოდნა, უნარები და კომპეტენციები) შეფასდა წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების საფუძველზე და ისინი აკმაყოფილებენ აღიარების/ვალიდაციის სტანდარტების მოთხოვნებს. აღიარება, როგორც წესი, დასტურდება სერთიფიკატით“.

თანამედროვე მიდგომით კვალიფიკაცია “სწავლის შედეგების” მიხედვით განისაზღვრება, რაც იმას ნიშნავს, რომ კვალიფიკაციის მისანიჭებლად პირმა გარკვეულ სწავლის შედეგებს უნდა მიაღწიოს (ცოდნა, უნარები და კომპეტენციები). თანამედროვე მიდგომა მკვეთრად განსხვავდება კვალიფიკაციის ტრადიციული განმარტებისაგან, რომელიც ძირითად აქცენტს აკეთებს სწავლის შინაარსსადა რესურსებზე (ინფუტზე), მათ შორის კურსის ან პროგრამის ხანგრძლივობაზე.

“სწავლის შედეგებზე” ორიენტაცია საშუალებას იძლევა აღიარებულ იქნას სხვადასხვა გზით მიღებული განათლება-ფორმალური, არაფორმალური და ინფორმალური გზით მიღებული მიღწევები. ტრადიციული მიდგომისმიხედვით კი კვალიფიკაციას იღებდა მხოლოდ ის პირი, რომელიც სწავლობდა კონკრეტულ პროგრამაზე გარკვეულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში და მას კვალიფიკაცია ენიჭებოდა კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ.

თანამედროვე ცვალებადი შრომის ბაზარი, ეკონომიკური, ტექნოლოგიური და სოციალური ცვლილებები პირისგან მეტ მოქნილობას მოითხოვს; პირები, რომელთაც აქვთ ცოდნა და უნარები, მაგრამ არაქვთ სერთიფიკატი, კვალიფიკაციის აღიარების საჭიროების წინაშე დგებიან. ხოლო კვალიფიკაციების მფლობელ პირებს მათი გაფართოვება სჭირდებათ ინფორმალურად მიღებული ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების აღიარების გზით.

მნიშვნელოვანია დაინტერესებული სამიზნე ჯგუფის სწორად ინფორმირება არაფორმალური განათლების აღიარების შესახებ. არაფორმალური განათლების აღიარების ყველა მსურველს შესაძლოა არ ჰქონდეს კავშირი არაფორმალური განათლების აღიარებაზე პასუხისმგებელ ორგანიზაციებთან, ამიტომ საჭიროა ინფორმაციის ფართოდ გავრცელება საზოგადოებაში და მასზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. ამაში იგულისხმება ინფორმაციის მიწოდება არაფორმალური განათლების აღიარების

ინფორმალური (informal) განათლება - არაორგანიზებული და არასტრუქტურირებული განათლება, ცოდნისა და უნარების შეძენა მიზანმიმართულად ან პიროვნებისაგან გაუცნობიერებლად ცხოვრების მანძილზე, მუშაობის ან თვით-განათლების პროცესში. ბევრ ენაში, მათ შორის ქართულშიც, ხშირად ამ ტერმინებს შორის განსხვავება ბუნდოვანი; ხშირად ორივე მათგანის აღსანიშნავად ერთი და იგივე ტერმინი გამოიყენება.

მიზნებისა და მნიშვნელობის შესახებ. ასევე, თუ როგორ არის შესაძლებელი არაფორმალური განათლების აღიარება, ვის შეიძლება დაუკავშირდეს პირი შემდგომი ინფორმაციის მისაღებად ან დასახმარებლად არაფორმალური განათლების აღიარების დრო, ღირებულება და ა.შ.

ინფორმაციის ტიპი, რომელსაც კანდიდატს ვაწვდით, უპირველესად დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რა მიზნით მიმართავს პირი არაფორმალური განათლების აღიარებას. ფორმალური განათლების გასაგრძელებლად, კანდიდატს დასჭირდება ისეთი ინფორმაცია, როგორცაა პროგრამაზე შესვლა, რა უნარების ფლობაა საჭირო პროგრამაზე სწავლის დასაწყებად და პროგრამის დასასრულებლად. კანდიდატს, რომელსაც არაფორმალური განათლების აღიარების დამადასტურებელი სერთიფიკატის აღება სურს, დასჭირდება ისეთი ინფორმაციის მიღება, როგორცაა მოდულებისა და სწავლის შედეგების სწორად იდენტიფიცირება. ძალზე მნიშვნელოვანია არაფორმალური განათლების აღიარების შესახებ ზუსტი ინფორმაციის გავრცელება.

არაფორმალური განათლების აღიარების სანდოობა დიდწილად არის დამოკიდებული შეფასების *ზუსტი* და *სამართლიანი* სისტემისა და ეფექტური ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის არსებობაზე. სერთიფიცირების ხარისხი დამოკიდებულია მის მისანიჭებლად გამოყენებულ შეფასების ხარისხზე. არაფორმალური განათლების აღიარებისას ხდება კანდიდატის მიღწევების შეფასება (ცოდნა, გაგება და უნარები) წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. მიღწევის აღიარებისათვის საჭიროა შეგროვდეს და შეფასდეს საკმარისი რაოდენობის მტკიცებულება.

არაფორმალური განათლების აღიარებისას გამოყენებული უნდა იყოს კრიტერიუმს დაფუძნებული შეფასება. ეს ნიშნავს, რომ შეფასებისას პირის მიღწევა უნდა შეფასდეს ობიექტური სტანდარტების მიხედვით და არ უნდა მოხდეს კანდიდატების შეფასებების რანჟირება (მაგ. 100 ქულიანი სისტემა), მათ შორის სუბიექტური შეფასების საფუძველზე.

2. არაფორმალური განათლების აღიარების პროცესი

არაფორმალური განათლების აღიარების პროცესი და პროცედურები მოიცავს 4 ძირითად ეტაპს:

1. **იდენტიფიცირება** - არაფორმალური განათლების აღიარების საჭიროების, მაძიებლის კომპეტენციების, სწავლის შედეგების იდენტიფიცირება;
2. **დოკუმენტირება** - საჭირო დოკუმენტების/მტკიცებულების შეგროვება სწავლის შედეგების მიხედვით;
3. **შეფასება** - სწავლის შედეგების შეფასება სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით;
4. **სერტიფიცირება** - სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება სერთიფიკატით.

1. იდენტიფიცირება

ეს არის აღიარების პროცესის პირველი ეტაპი. ამ ეტაპზე მაძიებელი პირველად ხვდება /ეკონტაქტება არაფორმალური განათლების აღიარებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაციის მიერ გამოყოფილ პირს, რომელსაც კონსულტანტი ეწოდება.

ეს პროცესი უნდა იყოს კარგად სტრუქტურირებული, მოიცავდეს ინტერვიუს/ინტერვიუებს, საჭიროების შემთხვევაში კითხვარების შევსებას, სწავლის შედეგების შესწავლას, რომლის დემონსტრირებასაც პირი აპირებს, მიღწევების შესახებ მტკიცებულებების იდენტიფიცირებას, რომლის წარმოდგენაც პირს ევალება.

ამდენად, კონსულტაცია აუცილებელია მაძიებელთათვის აღიარებასთან დაკავშირებული სწორი გადაწყვეტილებების მისაღებად. არაფორმალური განათლების აღიარების კონსულტანტის ფუნქციაა მაძიებელს დაეხმაროს შემდეგი მიმართულებით:

- მაძიებლის ინფორმირება არაფორმალური განათლების აღიარების სარგებლის შესახებ;
- შესაძლო დაბრკოლებებისა და პრობლემების გამოყოფა;
- მაძიებლის წინასაგანმანათლებლო გამოცდილების გამოკითხვა და მისი მისადაგება პროფესიულ ან საგანმანათლებლო სტანდარტებთან;
- მაძიებლის წინა გამოცდილების შესაბამისი მტკიცებულებების იდენტიფიცირება;
- რა დრო სჭირდება არაფორმალური განათლების აღიარებას;
- რა ღირს არაფორმალური განათლების აღიარება (სადაც ეს ინფორმაცია რელევანტურია);
- რა ტიპის წინმსწრები განათლების აღიარება არის შესაძლებელი/არ არის შესაძლებელი;

- იმის განსაზღვრა, საჭიროა თუ არა სერტიფიცირება;
- იმ ნაბიჯების განსაზღვრა, რაც საჭიროა არაფორმალური განათლების აღიარების შემდეგ ეტაპებზე;
- კონსულტანტი მაძიებელს გადასცემს მოდულის ასლს.

მნიშვნელოვანია კონსულტანტთან შეხვედრები გაფორმდეს წერილობით. კონსულტანტთან შეხვედრის ჩანაწერი უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:

- შეხვედრების თარიღები;
- განხილული საკითხები;
- წინაგამოცდილების იდენტიფიცირება (განათლებასა და სამუშაოსთან დაკავშირებული);
- მტკიცებულებები, რომ წინმსწრები განათლება შეესაბამება სტანდარტებს;
- მოკლე სამოქმედო გეგმის შემდეგი ნაბიჯები.

ქვემოთ მოცემულია ნიმუში

კონსულტანტსა და მაძიებელს შორის შეხვედრის ჩანაწერი

კონსულტანტი:

მაძიებელი:

მოდული/ კვალიფიკაცია (თუ ცნობილია): “მეწარმეობა”

შეხვედრის თარიღი	განხილული თემები/ შესრულებული აქტივობები	იდენტიფიცირებული საგანმანათლებლო გამოცდილება	ხელმისაწვდომი მტკიცებულებების ბუნება	სამომავლო ნაბიჯები
26.09.2017	პირველადი შეხვედრა. მაძიებლის შესახებ ინფორმაციის მოგროვება და მისი შეხედულებების განხილვა აღიარებასთან დაკავშირებით, როგორც სამუშაო გამოცდილების, ასევე საგანმანათლებლო აქტივობების იდენტიფიცირება.	კანდიდატის ყოველდღიური პასუხისმგებლობების განხილვა, რაც მოდულს “მეწარმეობა” უკავშირდება		კანდიდატს გადაეცემა მოდულის “მეწარმეობა” ასლი. მომდევნო 2 კვირის განმავლობაში მაძიებელი აღრიცხავს საქმიანობებსა და გამოცდილებას, რაც შეესაბამება სწავლის შედეგებსა და შესრულების კრიტერიუმებს.

2. დოკუმენტირება- დოკუმენტების შეგროვება

ამ ეტაპზე ხდება ყველა საჭირო მტკიცებულების შეგროვება ყველა სწავლის შედეგის დასაფარად. მოდული “მეწარმეობა” შედგება 5 სწავლის შედეგისგან

1. ბიზნესის დაგეგმვა;
2. ბიზნესის რეგისტრაცია;
3. ბიზნესის ორგანიზება;
4. პროდუქციის/ მომსახურების რეალიზაცია;
5. გამარტივებული ფინანსური აღრიცხვა- ანგარიშგების წარმოება.

მნიშვნელოვანია, მტკიცებულებებმა მოიცვას ყველა შედეგი.

მტკიცებულება შეიძლება იყოს პირდაპირი, არაპირდაპირი და თვითრეფლექსიის.

პირდაპირი მტკიცებულება ადასტურებს იმას, თუ მაძიებელს რისი გაკეთება შეუძლია. ეს არის მის მიერ შესრულებული სამუშაოს მტკიცებულება, ან შეიძლება იყოს მაძიებლის სამუშაო უნარების შესახებ წერილობითი დადასტურება იმ პირის მხრიდან, ვინც აკვირდებოდა მაძიებელს.

პირდაპირი მტკიცებულებების ნიმუშებია:

- შესრულების შეფასებები;
- ტრენინგზე დასწრების შესახებ სასწავლო ჩანაწერი და სერტიფიკატები;
- სამუშაო ჩანიშვნები და ჩანაწერი;
- რეკომენდატორის მიერ დამოწმებული არტეფაქტებიან / დაფოტომასალა;
- ვიდეოჩანაწერები; პრეზენტაცია (ები).

არაპირდაპირი მტკიცებულება - არის დამხმარე მტკიცებულება. მისი მაგალითებია:

- რეზიუმე ან CV; საქმიანობის შესახებ წერილობითი მტკიცებულება;
- კოლეგების რეკომენდაციები; კურსზე დასწრების ჩანაწერები.

თვითრეფლექსიის მტკიცებულება შესაძლოა მოწოდებული იყოს წერილობითი ანგარიშის ფორმით, ან შემთხვევის შესწავლით (case study) მაგ.

სახელი:		I.D. No.
პორტფოლიოს მტკიცებულებები		
მოდული: მეწარმეობა		No.
მტკიცებულების No	მტკიცებულების აღწერა	სწავლის შედეგები და შესრულების

- განხორციელებული სამუშაოს შესახებ წერილობითი ანგარიშები;
- თვითრეფლექსიის დღიური/სასწავლო ჟურნალის ამონარიდები. კონსულტანტი არ ერევა მტკიცებულებების შეგროვების პროცესში, არამედ მაძიებელს მხოლოდ კონსულტაციას უწევს. მტკიცებულების შეგროვებაზე თავად მაძიებელია პასუხისმგებელი.

არაფორმალური განათლების აღიარების დოკუმენტური მტკიცებულებები

იკრიბება პორტფოლიოში (ეს შეიძლება იყო სელ.პორტფოლიოც).ყველა სფეროში ერთნაირი ფორმის პორტფოლიო არ გამოიყენება. პორტფოლიოს ფორმას მნიშვნელოვნად განსაზღვრავს შესრულებული ნამუშევრის ფორმა და

		კრიტერიუმები
001	ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევის ანგარიში	1, 7
002	დამსაქმებლის/ხელმძღვანელის ცნობა/დახასიათება ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების გამოცდილების შესახებ	5, 1-7
003	შემოსავლებისა და ხარჯების გაანგარიშების ნიმუშები შესრულებული წინა სამუშაო გამოცდილების დროს	5,5
004	მოსალოდელი მოგების გაანგარიშება შესრულებული წინა სამუშაო გამოცდილების დროს	5,7

მნიშვნელოვანია, რომ ყველა მტკიცებულება ნათლად უკავშირდებოდეს სტანდარტში არსებულ კონკრეტულ სწავლის შედეგებს, შესრულების კრიტერიუმებს, ამოცანებს, მოვალეობებსა და მტკიცებულებების დიაპაზონს. ამგვარად, ამ სახით ხარვეზები შეიძლება ადვილად განისაზღვროს. მტკიცებულებები თავსდება პორტფოლიოში, მოდულში განსაზღვრული სწავლის შედეგების

მიხედვით, ცალ-ცალკე ფაილების სახით. მნიშვნელოვანია პორტფოლიოს სწორად ორგანიზება.

თუ მტკიცებულებები არ არის საკმარისი, ხოლო დამატებითი მტკიცებულებების მოძიება ვერ ხერხდება, მაძიებელს შეიძლება ვურჩიოთ, რომიგი ჯერ არ არის მზად შეფასებისათვის და არ გავიდეს შეფასებაზე. ასეთ შემთხვევაში, მაძიებელმა უნდა მიმართოს შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებას, იმისათვის რომ განივითაროს ის უნარ-ჩვევები, რაც შეფასების პროცესის დაწყებაში დაეხმარება.

სწავლის შედეგებთან კავშირი

დანართი C

სახელი:

I.D. ნომერი:

მოდულის სახელწოდება:

კოდი:

სწავლის შედეგი:

მტკიცებულების ნომერი	მტკიცებულების აღწერა	შესრულების კრიტერიუმი							დიაპაზონი
		a	b	c	d	e	f	g	
001	ადგილობრივი შრომის ბაზრის კვლევის ანგარიში					X			ბაზრის კვლევის ელემენტები: პოტენციური კლიენტები, პოტენციური კონკურენტები, მოთხოვნის სავარაუდო მასშტაბები წარმოებულ საქონლზე/გაწეულ მომსახურებაზე
002	სამსახურიდან ცნობა ფინანსური აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოების გამოცდილების შესახებ	X	X	X	X	X			
003	შემოსავლებისა					X			

	და ხარჯების გაანგარიშების ნიმუშები სამსახურიდან									
004	მოსალოდნელი მოგების გაანგარიშება სამსახურიდან								X	
კომენტარები წარმოდგენილი ნიმუშები შეესაბამება მოდულის მოთხოვნებს									საკმარისი X ნამდვილი X მიმდინარე X	
შემფასებელი: მაია მაისურაძე									თარიღი: 27.09.2107	
შიდა შემმოწმებელი (ვერიფიკატორი): ნინო დვალაშვილი									თარიღი : 29.09.2017	

3. შეფასება

არაფორმალური განათლების აღიარების მესამე ეტაპი არის შეფასება.

კომპეტენციებზე დაფუძნებული კვალიფიკაციების სისტემაში აღიარება ნიშნავს პირის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების შეფასებას სწავლის შედეგების მიხედვით. სუბიექტურობის თავიდან აცილების მიზნით მტკიცებულებები უნდა შეფასდეს ეროვნულ დონეზე დადგენილი სტანდარტებისა და შეფასების ობიექტური კრიტერიუმების საფუძველზე.

შეფასების პროცესი შესაძლოა დავეყოთ შემდეგ ძირითად ეტაპებად:

- შეფასების დაგეგმვა: ამავე ეტაპზე ხდება მტკიცებულებების ეფექტურად შეგროვებისათვის საჭირო მიდგომების განსაზღვრა, შეფასების ადეკვატური სტრატეგიების ჩამოყალიბება, მტკიცებულებების შეგროვებისათვის საჭირო შეფასების ინსტრუმენტების შემუშავება სტანდარტებისა და კვალიფიკაციების მოთხოვნის შესაბამისად.
- მტკიცებულებების შეგროვება: ამ ეტაპზე შესაბამისი შეფასების მეთოდების/ინსტრუმენტების დახმარებით ხდება საჭირო მტკიცებულებების შეგროვება.
- მტკიცებულებების განხილვა და შეფასების შესახებ გადაწყვეტილების მიღება: ამ ეტაპზე მოწმდება შეგროვილი მტკიცებულებები, თუ რამდენად აკმაყოფილებენ არსებულ (როგორც რაოდენობრივი, ისე თვისობრივი) მოთხოვნებს, ხდება გადაწყვეტილების მიღება, დაკმაყოფილდა თუ არა სტანდარტები და შემფასებელი კანდიდატს აცნობს შესაბამის უკუკავშირს.
- შეფასების შედეგების გაფორმება/ჩაწერა: ამ ეტაპზე ხდება შეფასების შედეგების გაფორმება და ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ხდება სანდო დოკუმენტაციის წარმოება.

შეფასებას სტარებს დაწესებულების მიერ შედგენილი კომისია. კომისია შედგება კვალიფიციური /გამოცდილი პირებისაგან; კომისიის შემადგენლობაში შედიან დამსაქმებლები, შესაბამისი სფეროს მასწავლებლები და დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

არაფორმალური განათლების აღიარებაზე პასუხისმგებელი ორგანიზაცია პასუხისმგებელია იმაზე, რომ შეფასების პროცესში ჩართული პირი - იქნება ეს მასწავლებელი, ტრენერი, ინსტრუქტორი თუ სოციალური პარტნიორი - იყოს კომპეტენტური.

შემფასებელს მოეთხოვება შემდეგი:

- არაფორმალური განათლების აღიარებისა და დადასტურების მოთხოვნების ცოდნა, მათ შორის - სტანდარტებისა და მტკიცებულებების;
- შეფასების ინსტრუმენტების შერჩევა ან შედგენა;
- შეფასების დაგეგმვა შესაფასებელ კანდიდატთან თანამშრომლობით;
- მაძიებლის მტკიცებულებების შეგროვება და შეფასება;
- შეფასების გადაწყვეტილების გაფორმება/ჩაწერა;
- შიდა და გარე ვერიფიკაციის/გადამოწმების პირობების დაკმაყოფილება.

კომისიას ევალუბა მაძიებლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებების შეფასება და დახარისხებამ პროფესიული თუ საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ხდება არაფორმალური განათლების აღიარება.

მას შემდეგ, რაც მაძიებელი და მისი კონსულტანტი თანხმდება, რომ მტკიცებულებათა პორტფოლიო საკმარისია, პორტფოლიო გადაეცემა არაფორმალური განათლების აღიარებაზე ავტორიზებული დაწესებულების კომისიას. მტკიცებულებების შეფასებისას, კომისიამ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, თუ წარმოდგენილი მტკიცებულება რამდენად არის:

- **საკმარისი** - არსებობს თუ არასაკმარისი მტკიცებულება, რომელიც ამტკიცებს ცოდნასა და უნარებს?
- **ნამდვილი** - მტკიცებულებამაძიებლის მიერ არის თუ არა შექმნილი?
- **მიმდინარე** - მტკიცებულებები უკავშირდება თუ არა ამჟამინდელ განათლებას, ამჟამინდელ სამუშაოს და / ან მიმდინარე საკვალიფიკაციო სტანდარტებს?

პროფესიული განათლების შეფასებისას გამოიყენება კომპეტენციებს დაფუძნებული შეფასება. შემფასებელი კონკრეტული კრიტერიუმების საფუძველზე პირს აფასებს “კომპეტენტურად” ან “არაკომპეტენტურად”. კანდიდატი კომპეტენტურად არის მიჩნეული, როდესაც წარმოდგენილი მტკიცებულებები (ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების შესახებ) სტანდარტებს აკმაყოფილებს. პორტფოლიოში უნდა გაერთიანდეს დასკვნის გასაკეთებლად საჭირო მტკიცებულებები.

არაფორმალური განათლების აღიარებისას ევროპაში შეფასების სხვადასხვა მეთოდები გამოიყენება:

- **პორტფოლიო**, რომელიც მოიცავს თავად პირის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტირებულ მტკიცებულებას საკუთარი მიღწევების შესახებ. პორტფოლიოს მტკიცებულებები შეიძლება მოიცავდეს პროდუქტებს, ასევე დოკუმენტირებულ მტკიცებულებას. ის ასევე შეიძლება მოიცავდეს არაფორმალური გზით მიღებული განათლების დამადასტურებელ ჯილდოებსა და დამსაქმებლების რეკომენდაციებს.
- **ზეპირი შეფასება**, მათ შორის დებატები, ინტერვიუები, პრეზენტაციები ხშირად გამოიყენება შეფასების სხვა მეთოდებთან ერთად.

- **სიმულაციები და პრაქტიკული ტესტები**, რომლის ჩატარება შესაძლოა საკმაოდ ძვირიც იყოს და რთულიც. ამ მეთოდების გამოყენება არაფორმალური განათლების აღიარებას ნაკლებად მოქნილს ხდის, თუმცა ისინი ხშირად ერთადერთი გზაა კანდიდატის პრაქტიკული უნარების დემონსტრირებისა და შეფასებისთვის.
- **წერილობითი ტესტები და დავალებები**, რომლებიც განათლების კოგნიტური უნარების შესაფასებლად ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია და არაფორმალური განათლების აღიარების მსურველ კანდიდატს იმავე მოთხოვნებს უყენებს, რაც ფორმალურ განათლებაში არის მიღებული. მიუხედავად იმისა, რომ ეს მეთოდები საკმაოდ პოპულარულია, იაფია და ხშირად ძალზე ადვილად ჩასატარებელიც, არაფორმალური განათლების აღიარებისათვის არც თუ ისე რელევანტურია, რადგან ამ გზით ძირითადად ცოდნის შესახებ მტკიცებულებები გროვდება.

არაფორმალური განათლების აღიარებისას რეკომენდებულია შეფასების შემდეგი პრინციპების დაცვა:

- **ვალიდობა** (შეფასებისას შეფასდეს და გაიზომოს ის, რისი შეფასება და გაზომვაც იგეგმება);
- **სანდობა** (თუ ერთი და იმავე კანდიდატს სხვადასხვა შემფასებელი შეაფასებს, ან მისი შეფასება სხვადასხვა კონტექსტში მოხდება, მაგრამ შეფასების ერთი და იგივე მეთოდი გამოიყენება, შეფასების შედეგები კონსისტენტური უნდა იყოს);
- **პრაქტიკულობა** (შეფასება უნდა იყოს ეკონომიური და არ უნდა საჭიროებდეს ინსტიტუტისა და კანდიდატის მხრიდან გადამეტებულ ძალისხმევას).

ვალიდურობა: შეფასების ინსტრუმენტი ვალიდურია იმ შემთხვევაში, როდესაც ის:

- მიზნის შესაბამისია - მაგალითად, პრაქტიკული უნარების შესაფასებლად პრაქტიკული ტესტის გამოყენება;
- სწავლის ყველა შედეგს მოიცავს;
- კანდიდატს შესაძლებლობას აძლევს კონკრეტული კვალიფიკაციის მოსაპოვებლად წარმოადგინოს ყველა საჭირო მტკიცებულება. ეს ეხება როგორც ცოდნის, ასევე უნარების დამადასტურებელ მტკიცებულებებს;
- შესაძლებლობას იძლევა, რომ ყველა შემფასებელმა ყველა კანდიდატი სანდოდ შეაფასოს;
- ხელმისაწვდომია ყველა პოტენციური, დაინტერესებული კანდიდატისათვის/პირისათვის;

სანდობა: შეფასების გადაწყვეტილება სანდოა იმ შემთხვევაში, როდესაც ის:

- ეფუძნება იმ მტკიცებულებებს, რომლებიც სანდოდ ადასტურებენ შესაფასებელი კანდიდატის შესრულებას;
- ეფუძნება მტკიცებულებებს, რომლებიც შეგროვილია შეფასების ვალიდური ინსტრუმენტების გამოყენებით;
- მტკიცებულების შეფასება ხდება კონკრეტული სიტუაციისათვის ნათლად ჩამოყალიბებული კრიტერიუმების საფუძველზე;
- კონსისტენტურია: როგორც სხვადასხვა შემფასებლების, ასევე კანდიდატების სხვადასხვა ჯგუფებს შორის; თუ შეფასების მეთოდი არ იცვლება და შეფასების შედეგი იგივე უნდა იყოს შეფასების ადგილის, სიტუაციის, კონტექსტისა თუ შემფასებლის მიუხედავად;

პრაქტიკულობა: იმისათვის, რომ შეფასება იყოს პრაქტიკული და ეფექტიანი, ის უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:

- ჩატარდეს ხელმისაწვდომი რესურსების, საშუალებისა და დროის პირობებში;
- კანდიდატს საკუთარი უნარებისა და ცოდნის მაქსიმალურად კარგად წარმოჩენის შესაძლებლობა უნდა ჰქონდეს. მაგალითად, სამუშაოსთან დაკავშირებული პრაქტიკული უნარების შეფასება რეკომენდებულია სამუშაო ადგილზე
- იმგვარი სიტუაციის თავიდან აცილება და გაკონტროლება, რომელიც მაძიებელსა და შემფასებელს გადამეტებულ მოთხოვნებს უყენებს. მაგალითად, ზედმეტად დახვეწილი მოწყობილობების გამოყენება, რომელთა შეხებაც კანდიდატს სავარაუდოდ არ ექნება; ზედმეტად ბევრი მასალების გამოყენება და დემონსტრირება, რომელსაც ძალიან დიდი დრო სჭირდება.

საჭიროების შემთხვევაში, განსაკუთრებით მაშინ, როცა ხარვეზები ფიქსირდება, კომისიამ შეიძლება მოისურვოს მაძიებელთან გასაუბრება, რათა უზრუნველყოს შეფასების პროცესის **სანდოობა**. მაგალითად, კომისიამ მაძიებელს შეიძლება სთხოვოს აღწეროს წარმოების ტექნოლოგიური პროცესი, ბიზნესის დაფინანსების წყაროები. შემფასებელმა შეიძლება მაძიებელს სთხოვოს მტკიცებულების ნაწილის წარმოდგენა და ახსნა, დაასვედა უსვას კითხვები, რომლითაც გადაამოწმებს მოსწავლის ცოდნასა და გააზრებას.

შეიძლება საჭირო გახდეს მაძიებლის მხრიდან კონკრეტული უნარების **დემონსტრირება**. თუესასეა, საჭიროა შესაბამისი აღჭურვილობის, რესურსების მომარაგება არაფორმალური განათლების აღიარებაზე უფლებამოსილ დაწესებულებაში და

კონკრეტული გამოცდის ჩატარება. გამოცდა შეიძლება ჩატარდეს ტესტირების, ზეპირი სახით, ასევე დაკვირვების გამოყენებით. მაგ, შეადგინოს ბაზრის კვლევის მოკლე გეგმა.

არაფორმალური განათლების აღიარების შეფასების პროცესის შედეგია ორიდან ერთ-ერთიგადაწყვეტილება:

- არსებობსსაკმარისიმტკიცებულებები, რომდაკმაყოფილდა მოდულის შესაბამისი სერთიფიკატის გაცემისთვის საჭირო შეფასებისმოთხოვნები. ამშემთხვევაშიმაძიებელი შესაძლებელიაპირდაპირმომდევნოეტაპზეგადავიდეს - **სერტიფიცირება.**
- მტკიცებულებებისაკმარისიარარის. ამშემთხვევაშიმაძიებელს მიეწოდება **უკუკავშირი**და ეძლევა შესაძლებლობაშექმნას ახალი ან დამატებითიმტკიცებულება, ანჩაერთოსსაგანმანათლებლოსაქმიანობაში და განივითაროს დამატებითი უნარები ანხელახლა გაიაროსშეფასება.

4. სერტიფიცირება

სერტიფიცირება არის არაფორმალური განათლების აღიარების პროცესის ბოლო საფეხური.

იმშემთხვევაში, თუ ხდება მთლიანიპროფესიულიკვალიფიკაციის აღიარება, ცალკეული მოდულების მაძიებელს მიენიჭება იგივე კვალიფიკაცია და სერტიფიკატი, რაცმიენიჭება წარმატებულ სტუდენტსფორმალურიპროფესიულიგანათლებისსისტემაში.

არაფორმალური განათლების აღიარებაზე უფლებამოსილი დაწესებულება სერტიფიცირებისპროცესსწარმართავსცენტრისმოთხოვნების სრულიდაცვით.

იმ შემთხვევაში, თუ მოხდება პროფესიული მოდულის “მეწარმეობა”, ყველა შედეგის აღიარება გაიცემა ამ მოდულის სწავლის შედეგების მიღწევის დამადასტურებელი სერთიფიკატი.

არაფორმალური განათლების აღიარებისა და სერთიფიკატის მინიჭების გადაწყვეტილება დეტალურად უნდა აღიწეროს ჩანაწერებში. ეს დოკუმენტაცია ჩვეულებრივ ხანგრძლივი დროით ინახება.

3. არაფორმალური განათლების აღიარების ხარისხის უზრუნველყოფა

არაფორმალური განათლების აღიარებისას განსაკურებული ყურადღება უნდა მიექცეს ხარისხის უზრუნველყოფის პროცედურებს, რომლებიც უპირველესად შეფასებასადამის საფუძველზე სერთიფიკატის გაცემას უკავშირდება.

არაფორმალური განათლების აღიარების პროცესში მნიშვნელოვანია ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის - *ვერიფიკაციის*(შემოწმების) უზრუნველყოფა; ვერიფიკაციის მიზანია იმის დადასტურება, რომ შემფასებლები შეფასების კონსისტენტურ დასკვნებს აკეთებენ, ეს პროცესი შეფასების კრიტერიუმებს ეფუძნება და აღიარების პროცესში შეფასების ერთიანი მიდგომა გამოიყენება.

ვერიფიკაციის დროს სტუდენტის შეფასების გარკვეული ნიმუშების განხილვის/გადამოწმების საფუძველზე ფასდება, რამდენად ზუსტია, ვალიდური და კონსისტენტური კანდიდატის შეფასება. ყველა შემთხვევაში ფასდება წარმოდგენილი დოკუმენტაცია თუ პორტფოლიოს მტკიცებულება რამდენად აკმაყოფილებს არსებულ მოთხოვნებს. სანდოობისათვის მნიშვნელოვანია ამ ინფორმაციის გარე პროცედურით დადასტურება, რაც ამ შემთხვევაში გარე ვერიფიკაცია (შემოწმება) არის.

ამდენად, პროფესიული კვალიფიკაციების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესში ვერიფიკაციის (შემოწმების) 2 ფორმა გამოიყენება:

- *შიდა ვერიფიკაცია (შემოწმება)* - ამ პროცესს ატარებს ორგანიზაციის შიგნით შეფასებაზე პასუხისმგებელი შიდა ვერიფიკატორი. შეფასების შიდა შემოწმებაზე თავად შემფასებელი ორგანიზაციაა სრულად პასუხისმგებელი;
- *გარე ვერიფიკაცია (შემოწმება)* – შემოწმების პროცესი, რომელიც უზრუნველყოფს, რომ არაფორმალური განათლების აღიარებაზე პასუხისმგებელი ყველა ორგანიზაცია შეფასების პროცესს კონსისტენტურად ატარებდეს და შეფასებისას ეროვნულ სტანდარტებს იცავდეს. ამაზე გარე, დამოუკიდებელი ორგანოა პასუხისმგებელი.

წყაროები

1. საქართველოს კანონი პროფესიული განათლების შესახებ (2007; გადამუშავებული ვერსია 2010)
2. არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების პირობებისა და წესის დამტკიცების შესახებ ბრძანება №8/ნ. 2011
3. არაფორმალური განათლების (VNFIL) აღიარება -გზამკვლევი. MCA-G. 2016
4. „არაფორმალური განათლების აღიარების (VNFIL) პოლიტიკისა და მეთოდოლოგიური პაკეტის მომზადებაში მხარდაჭერა საქართველოში“. ETF. 2014
5. ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩო. ბრძანება 120/ნ. 2010
6. პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია 2013-20. 2013
7. European Guidelines for validating non-formal and informal learning, CEDEFOP, Office for Official Publications of the European Communities, Luxembourg, 2009
8. European Inventory on Validation of Non-formal and Informal Learning 2010 – Thematic Report: Assessment Methods, CEDEFOP, Thessaloniki
9. European Inventory on Validation of Non-formal and Informal Learning 2010 – Thematic Report: Costs and Benefits of Validation, CEDEFOP, Thessaloniki
10. European Inventory on Validation of Non-formal and Informal Learning 2010 – Thematic Report: Validation of Prior Learning in the Construction Sector, CEDEFOP, Thessaloniki
11. European Inventory on Validation of Non-formal and Informal Learning 2010 – Thematic Report: Validation for Specific Target Groups, CEDEFOP, Thessaloniki
12. Recognition, Validation and Certification of informal and non-formal learning – Synthesis Report, UNESCO Institute for Education, Hamburg
13. Torino Process 2016, Georgia, ETF, Turin, 2016
14. Validation of Non-formal and Informal Learning - Common aspects and some orientations for future steps in Georgia: Draft Proposal, ETF Project ENP-E WP12-31-09, Report to ETF by E. Mitroi, January 2013



დანართი

არაფორმალური განათლების აღიარებისათვის საჭირო ფორმები

კონსულტანტსა და მაძიებელს შორის შეხვედრის ჩანაწერი

კონსულტანტი:

მაძიებელი:

მოდული/ კვალიფიკაცია (თუ ცნობილია):

შეხვედრის თარიღი	განხილული თემები/ შესრულებული აქტივობები	იდენტიფიცირებული საგანმანათლებლო გამოცდილება	ხელმისაწვდომი მტკიცებულებების ბუნება	სამომავლო ნაბიჯები

სწავლის შედეგებთან კავშირი

დანართი C

სახელი:
 მოდულის სახელწოდება:
 სწავლის შედეგი:

I.D. ნომერი:
 კოდი:

მტკიცებულების ნომერი	მტკიცებულების აღწერა	შესრულების კრიტერიუმი							დიაპაზონი
		a	b	c	d	e	f	g	
კომენტარები									საკმარისი
									ნამდვილი

	მიმდინარე
შემფასებელი:	თარიღი:
შიდა შემოწმებელი (ვერიფიკატორი):	თარიღი :

მოდული “მეწარმეობა” III დონე